

# ქართველობის

მ. პ. ლ. რ. ე. თ. შ. ე. მ. ლ. ს. ე. ვ. ა. დ. ა. მ. ი. ს. ი.  
წ. ა. მ. ქ. ე. ზ. ე. ბ. ე. ლ. ნ. ი. 1797 წ.

ზ. კიკინაძისა



ტფილისი.

ამ. „შრომა“, ვლენანოვის პროსპექტი, № 67.

1920

აღა-მაჭადხანის მეორეთ შემოსევა და მისი  
წამქეზებელი 1797 წ.

ისტორიულის მასალებით დასაბუთებულია და  
დამტკიცებული, რომ საქართველოს და ქართველ  
ერს ოსმალნი და სპარსნი, პეტრე დიდის შემდეგ  
სულ რუსების მეგობრობის გულისთვის ემტერებო-  
დნენ. ქართველთ მეგობრობა სპარს-ოსმალთ თუ-  
სებთან კარგათ იცოდნენ და ამ გარემოებას მხო-  
ლოდ ოდნავ ადევნებდნენ თვალ-ყურს, ხოლო 1783  
წ. შემდეგ კი, რა კი მეფე ერეკლემ და სოლომონ  
მეფემ რუსეთის მფარველობა აღიარეს და ეკატერინე  
ხელმწიფესთან კავშირი დადეს და გიორგევსკში ამ  
მფარველობის ტრაქტატიც დასწერეს. ამის შემდეგ  
კი ოსმალ-სპარსნი ცხარეთ მიეცნენ დუმილს და  
ქართველებსაც უფრო დიდის მტრულის თვალით  
დაუწყეს ყურება.

თუმცა ის-კი ცნობილია კარგად, რომ სპარს-  
ოსმალთა არც ამ წლის შემდეგ დაანებეს თავი ქარ-  
თველების დალოლიებას და ხან ოსმალეთი და ხან  
სპარსეთის ყეინი მუდარებით მომართავდნენ და  
სთხოვდნენ ქართველებს, რომ ამათ უსათუოდ რუ-  
სებთან მეგობრობა მოესპოთ და მათთან შორს დამ-

დგარიყვნენ, თვით ერეკლე მეფესაც ბევრჯერ მო-  
მართეს ასეთის სიტყვიანის ფირმანებით და თხოვნით,  
რომ რუსებთან მეგობრობა მოსპეთო. ერთ ფირმან-  
ში ყეინი ასე მიმართავს ერეკლე მეფეს:

„თქვენმა უმაღლესობამ კარგათ იცის, რომ  
თქვენ ყოველთვის ერანთან გქონიათ მეგობრობა  
და სამეზობლო სალამი. ეხლა ეს დაგირღვევიათ და  
რუსებს მოჰკიდებიხართ, თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი  
ხართ, ეს როგორ ვეკადრებათ, ამიტომ ვისურვებ,  
რომ თქვენ წინათვე შეგატყობინოთ, რომ რუსებ-  
თან შეერთება დახსნათ, თორემ თუ ამას არ იზამთ, მა-  
შინ ჩვენ მოვალთ და ქართველთა და რუსთა სისხლს  
დავაჭრეთ და მტკვრის მსგავსათ მდინარეთ გავაკეთებოთ,  
ამის მოწერა ჩვენ მიტომ მოვინდომეთ, რომ შენ  
შენი თავი იცნა და რუსებთან შეერთება დახსნათ.

ასე ემუდარებოდნენ სპარსნი ქართლ-კახეთის  
მეფეებს, ასევე, სთხოვდნენ ხოლმე ოსმალნიც. თვით  
მეფე გიორგის, რუსებთან დაკავშირების წინეთ, ანუ  
1799 წ. ტფილისში ოსმალთაგან დეპუტაცია მო-  
ვიდა და მეფე გიორგის ავედრეს შემდეგი:

„თქვენ ოღონდ საქართველოს რუსებს ნუ მის-  
ცემთ, ოღონდ რუსებს ნუ შემოუშვებთ საქართვე-  
ლოში და ჩვენ პირობას მოგცემთ, რომ დღეის შემ-  
დეგ თქვენი შემწუხებელი აღარც სპარსნი იქმნენ და  
აღარც ოსმალნი. გარდა ასეთის პირობის ჩვენ და-  
გიბრუნებთ თქვენ ყველა წართმეულ საქართველოს

ალაგებს და მასთან სამხედრო იარაღით და ჯარითაც „დაგეხმარებით“ ოსმალთა დეპუტაციაში, სხვათა შორის რეულა ახალციხის თემის, ქართველ კათოლიკეთ არქიმანდრიტი პავლე შაჰიულიანი, რომში ნაწავლი და მცოდნე ევროპიულის და აზიურის ენდბის. ესევე არქიმანდრიტი იყო დანიშნული ოსმალთა მთარგმნელად. არქიმანდრიტი დალაგებით მოუთხრობდა მეფე გიორგის ოსმალთა დაპირებას და თან ურჩევდა, რომ მეფე გიორგის მიეღო ოსმალთა ეს წინადაღება, მაგრამ გიორგიმ უარი უთხრა. ასე მოწმობს ამ გარემოებას თვით ეს არქიმანდრიტი. ამავე წლის ბოლოს, თუ 1800 წ. დამდეგს მეფე გიორგის სპარსეთის ბაბა-ხან-ფეთ-ალი შაჰისაგანაც მოუვიდა დეპუტაცია. ბაბა ხანი ძმის წულია ალა-მაჰმედ ხანისა. ბაბა ხანმა ბიძის მტრობის მაგიერ ქართველებთან მეგობრობა ისურვა. და ამიტომ მეფე გიორგის მიმართა და შემოუთვალია შემდეგი:

„ოღონდ თქვენ რუსებს ნუ უკავშირდებით, რუსებს საქართველოში ნუ შემოიყვანთ და ჩვენ მოგცემთ პირობას, რომ დღეის შემდეგ, ერთმა სპარსმაც ალარ შემოადგას ფეხი საქართველოში. ამას გარდა ჩვენ გაღმოგცემთ შირვანს, ბაქოს, ერევანს, განჯის და სხვა ადგილებსაც, დაგეხმარებით ჯარით, ხომ რის იარაღით და სხვა ფრითაც, ოღონდ რუსები ნუ მოგყავთ, თორემ ბოლოს ეს ჩვენთვისაც ცუდი იქ-

ნება. ეს დავალება გიორგი მეფემ პავლე იმპერატორის წინადადებით უარი ჰყო, ამაზე სხვა დროს.

ასე ეხვეწებოდნენ ჩვენს ძველებს ასმალ-სპარსნი და თან კარგს პირობებსაც უდებდნენ, ქართველებს რომ შეესმინათ თავიანთ მეზობელთა დავალება და თხოვნა, მაშინ მთელს საქართველოს თავიდამ ასცდებოდა ასმალ-სპარსთაგან ხშირად თავზე დაცემა, ქვეყნის აოხრება და ხალხის ხოცვა. ჩვენ ცხადათ ვიცით და ეს ნამდვილიც არის, რომ ყეინი მეფე ერეკლეს ასე ეხვეწებოდა:

„ოლონდ თქვენ ქართველებმა რუსებთან კავშირი მოსპერ და ჩვენ თქვენ სასარგებლოდ შევასრულებთ ყოველისფერს ისე, როგორც თქვენი უმაღლესობა ისურვებს და იკადრებს!“ სპარს-ასმალნი ქართველებს ასე დაჟინებით მიტომ ავალებდნენ, რადგანაც დიდათ ეშინოდათ საქართველოში რუსების შემოსვლის. იცოდნენ კარგი დღეები და ბოლოს საქართველოს გზებით რუსთაგან ერთიც მოისპობოდა და მეორეც.

ეს გარემოება პეტრე დიდის შემდეგ, რუსებმაც კარგად შეიგნეს და გაითვალისწინეს, შეიგნეს ის გარემოება, რომ საქართველოს დაჭერით და ქართველი ერის დახმარებით იგინი მთელს კავკასიის აღვილებს აღვილათ დაიბყრობდნენ, ამიტომაც განიძრახეს რუსებმა 1724 წ. საქართველოს დაჭერა და მერე ქართველების გზით მთელი კავკასიის ხელში ჩაგდება.

ამის იმედები რუსებს პეტრე დიდის შემდეგ შეურ-  
ყევლად მიეცათ, მათ აუცილებლივ სურდათ საქარ-  
თველოს დაპატრონება, რაღანაც მათ კარგად შეი-  
გნეს ის გარემოებაც რომ ქართველები მათი შერ-  
ჯულე ქრისტიანები იყვნენ და მასთან რუსების დიდი  
მოყვარენიც სჯულის მხრივ.

რუსების ფიქრით საქართველოს ხელში ჩაგდება  
იქმნებოდა დიდი სიმდიდრე, დიდი საუნჯე რუსეთის  
სახელმწიფოსთვის, საქართველოს დაპატრონებას უსა-  
თუოდ მოიპოვებოდა რუსების გაძლიერება მთელს  
ალმოსავლეთში. ამის ცნება რუსებს უეჭვოთ სწამ-  
დათ, რაღანაც მათს წინაშე ქართველები იყვნენ  
ცნობილნი როგორც გმირი, მეომარი და ერთგული  
ხალხი თავის თავის, ქრისტიანობის და მეზობელის  
რუსეთის ერის და სახელმწიფოსიც.

ეს გარემოება სპარს-ოსმალთაც კარგათ იცოდ-  
ნენ და ამიტომაც იყო, რომ ესენიც თავგამოდებით  
იღვწოდნენ მის შესახებ, რომ საქართველო რუსებს  
არ ჩაეგდოთ ხელში; რუსნი საქართველოში არ შე-  
მოსულიავნენ, ფეხი არ შამოედგათ, თორემ ბოლოს  
დროს, ეს მათი დალუპვაც იქნებოდა. ამას კარგად  
გრძნობდნენ ოსმალ-სპარსნი და ამიტომ ქართველებს  
ბევრ ნაირად ულოლიებდნენ და ესიყვარულებოდ-  
ნენ, მაგრამ გაწყობითაც ვერას აწყობდნენ, ამ გა-  
რემოებას ყოველვის წინააღმდეგ ძალათ წინ ეღო-  
ბებოდა სარწმუნოების საქმენი.

ბედშავი ქართველნი რაკი ერთხელ შეწუხდნენ  
ოსმალ-სპარსთაგან, რაკი ერთხელ სასტიკად იქმნენ  
აოხრებულ-ანიავებულნი, ამიტომ ქართველებს მათი  
აღარაფერი სჯეროდათ, ხოლოთ, ქართველნი ვეღარ  
არჩევდნენ ვერც ოსმალ-სპარსთა მტრობას და ვერც  
მეგობრობას, ქართველებს რაკი ერთხელ თავში ჩაე-  
ნერგათ თათრების მტრობის ხსოვნა და მათი ბორო-  
ტების ხსოვნაც გულში მკვიდრათ ჩაენერგათ, მის  
შემდეგ ქართველების თავიდან აღარ ამოვიდა ეს ში-  
ში და მცნება და სწორედ ეს იყო ბოროტება რომ  
ქართველნი ოსმალ-სპარსთა ვეღარც სიყვარულს არ-  
ჩევდნენ და ვეღარც მტრობას. ერთი-მეორისაგან.

რაკი ოსმალ-სპარსელებმა ქართველებთან ვერა  
გააწყეს-რა მიტომ ბოლოს დაადგნენ ასეთ გზას.

რაკი არ იქმნა და ქართველებმა არ დასტოეს  
რუსეთის მეგობრობა და არც აპირებენ დატოვებას,  
ამიტომ საქართველო ისე უნდა მოვსპოთ, რომ ქარ-  
თველების ქვა-ქვაზე აღარ დარჩეს და მის შემდეგ  
მეტი რა გზა ექმნებათ, რუსებთან მოსპობენ მეგობ-  
რობას. ასეთ ფიქრებს მიეცნენ ოსმალ-სპარსნი და  
ამავე აზრებს მათ უფრო კარგად უხვდებოდნენ რუ-  
სეთის სახელმწიფო ჯაშუშები და სამხედრო პირები,  
რაც ქართველებისათვის ყოველთვის საიდუმლოებით.  
იურ გარემოცული, რუსების ეს გველური ბორო-  
ტება გამოქვეყნებულ იქმნა 1769 წ. გენერალ ტო-  
ტლობების მოქმედებით, ვაგრამ ეს ქართველებმა მა-

ლე დაივიწვეს. შემდეგ ამის 1795 წ. რომ აშკარა  
იქმნა, როცა ყაენი საქართველოს მოევლინა 300 თუ  
400 ათასის კაცით.

ეს იყო ჩვენი ქრისტიან მოქმედების  
ნაყოფი, ამათი მოქმედება იყო იქამდის ბოროტი,  
უსამართლო და უნამუსოებით გარემოცული, რომ  
მათ მაინც თავიანთ ბოროტებას სიავეს თავი არ გა-  
ანებეს და დაიწყეს ცდა და ფულების ხარჯვა, რომ  
1795 წ. განადგურებულ საქართველოს მტერი ახ-  
ლად მოვლენოდა და დასცემოდა ასაკლებად ისე,  
რომ საქართველოს ქვა-ქვაზედაც აღარ დარჩენოდა,  
ბოროტება და ასეთი ბოროტება ყოვლათ შეუძლე-  
ბელია, რომ კაცის გონებისაგან წარმოსდგეს ადვი-  
ლად.

ამ ბოროტების ხელის დაფარვა აღარ გამოდ-  
ება, რუსთა ბოროტება რომ ყოველთვის არსებობ-  
და ოსმალების წინააღმდევ და ყოველთვის იგი დი-  
დის საიდუმლოებით იყო გარემოცული, ამას ასა-  
ბუთებს ბევრი რამ ისტორიული ცნობები. ამიტომ  
ვალათ მიმაჩნია რომ რუსების მთავრობის ასეთ ბო-  
როტებაზე ჩვენ გულ ახსნილ ვილაპარაკოთ და მას  
ცოტ შორიდამაც შევეხოთ. ამიტომ ჩვენ მივმარ-  
თავთ გაკვრით იმ დროსა და საუკუნეს როცა ქარ-  
თველები რუსის მეფეებს და ბათარებს წერილების  
მიწერ-მოწერა გაუმართეს.

აქ თამამად ვიტყვით შემდეგ ახსნას, რაც სა-

ჭიროა, რომ ეს გარემოება ჩვენს ისტორიულს მწერლობაში წინ იქმნეს წასული. ეს გარემოება უსათუდ უკეთესად უნდა იქმნეს ანუსხული და აწერილი, რესთა ბოროტება ქართველებზე იქამდის მძლავრია, რომ თვით XVII საუკუნეში, საქართველოში შაპ-აბაზის შემოსევის მიზეზებათ იმდენად ლუარსაბ მეფის შეუგნებლობა არ იყო, არც თეიმურაზ მეფის დიპლომატიური წერილების გზავნა აქეთ-იქით და არც დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ღალატი, რამდენიც იყო მიზეზნი რუსეთში ახლად გამეფებულ რომანოვების გვარის წევრთა ფლიდობა და მოსკოვის ბჟიარებისა, რომელნიც საქართველო საქრისტიანოს მხრით კარგათ იცნობდნენ და რომელთაც საქართველოს შესახენათ თვალებიც დიდათ დააკუიტეს. ამ ბოროტების სინამდვილეს და მას ანუ სხვას ჩვენ დავასაბუთებთ. თვით შაპ-აბაზის შემოსევის ანუსხვით.

აქ კი ისევ წერილის საგნათ აღებულს გარემოებას მივმართავთ, ანუ აღა შაპმადხანის მიერ საქართველოში მეორეთ შემოსევას, რაც იმედია, რომ ეს გარემოება ბევრს ქართველს დააფიქრებს, ბევრს აუტოკებს გულს და ალუძრავს სიბრალულს განწირულ საქართველოს შესახებ. მოკლეთ კი ვიტყვით შემდეგს, რაც იქმნება შედარებით კილოს მსგავსი ახსნა აწინდელ ქართველთა მდგომარეობის და საქართველოს წაქცევის.

ქართულათ ნათქვამია: — „კვიცი გვარზე თუ

ჯიშზე ხტისო“. ამიტომ დღეს საქართველოს წაქცეული ვაზე და მის განწირულს მდგომარეობაზე ჩვენ ხამინი არ უნდა ვიქმნეთ და ან გაკვირვებულნი, რადგანაც აწინდელ ჩვენ მტერ-მოყვარე ბოლშევიკების მოქმედებას და მათ ბოლშევიკურ ნიადაგს მჭიდრო კავშირი აქვს მათს წარსულთან და მათ მამა პაპათა იმ ბოროტ-მოქმედებასთან, რითაც იგინი იყვნენ აღჭილნი და მით საქართველოსაც ლუპავლნენ და ჭიშაზე ანადგურებდნენ.

ამას ჩვენ მიტომ ვამბობთ ასე თამამათ, რადგანაც დღევანდელი ბოლშევიკებიც არ გახლავან თავიანთ ველურ მამაპაპათა მცნებისაგან დიდათ ჩამოშორებულნი, რაც იყვნენ ძველით რუსთა მეფენი და გენერლები და როგორც ესენი მოქმედებდნენ საქართველოს სამეფოს დასალუპათ და ქართველი ერის მოსასპობათ. ისევე ამ ბოროტების შთამომავალნი ვითომც და სოციალურის აზროვნებით გატაცებული ბოლშევიკები არიან, რომელნიც საქართველო ცოცხლივ დამარხვას უპირებენ.

ამიტომაც გვახსენდება ძველი ქართული ოქმულება, რომ „კვიცი გვარზე ხტისო“ ახლანდელ ბოლშევიკეამა ამ ჩვენმა მტრებმა ჩვენს წინააღმდეგ ჩაიდინეს ის ცოდვები და მტრობა, რითაც მათი მამაპაპანი იყვნენ ამაღლებულნი საქართველოს სამტროთ. ეს რომ ცხადია და საბუთიანი, ამას ასაბუთებს ცხადათ ის გარემოებაც, რომ ბალშევიკების მამა-პაპებმა

საქართველოზე მფლონები აამხედრეს მტერი და 1797 წ. საქართველოს ასაკლებათაც გამოუსიერ. რაც წარსულში ეს მამები გახდნენ ქართველების სამტროთ და მოსასპობათ, ის დღეს მათი შვილები გახლავან. ეს გარემოება ჩვენთვის არ უნდა იყოს უცხო და საკვირველი.

საქართველოს დაღუპვის და მოსპობის მიზეზები ყოველთვის სულ ის გახლდათ, რომ 1720 წ. პეტრე დიდის შემდეგ ყოველთვის სპარსნი და ოსმალნი სულ მის გამო გვემტერებოდნენ, რომ რუსებთან მეგობრობას თავი დაანებეთო, ეს რომ მართალია ამას ასაბუთებს ის მაგალითი, რომ 1795 წ. თვით აღა მაჰმადხანმაც კი მიმართა მეფე ერეკლეს ასეთის თხოვნით და წინადადებით:

„ძმაო თრაკლი! უმორჩილესათ გთხოვთ, რომ რუსებთან შეერთება და მეგობრობა დახსნათ, თორემ ჩვენ მოვალთ და თქვენი და რუსთა სისხლს დავლვრით და აგიკლებთ.“ ეს სიტყვები მოყვანილია იმ „ფირმანში“ რომელიც მტერმა მეფე ერეკლეს გამოუყზავნა 1795 წ. საქართველოზე დაცემის ცოტა წინეთ, აქ მოვიყვანთ „ფირმანიდამ“ მხოლოდ ერთს ადგილს, რომელიც ნათლად ხატავს და ამართლებს ჩვენს მოსაზრებას. ამ „ფირმანის“ ერთი ადგილი, რომელიც მიმართულია მეფე ერეკლესთან ასე:

„ეხლა სწორე ეს არის, ღვთის მოწყალებით, რომლისა ძლიერებითა, ამისა დიდებასა შინა აღვე-

დით. ეხლა ჩვენი დადგებული ნება ეს არის, რომ  
თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ, ამ გვარი საქმეები  
განიშოროთ, რომ ქვეყნის თასლებიც არის და რუ-  
სებთან შეერთებულება დახსნა. თუ ამას არა იქმ,  
რაც გვიპრძანებია, ამ ცოტა ხანში საქართველოზე  
მოვალთ, რუსთა და ქართველთ სისხლს ერთად და-  
ვაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარედ გავაკეთებთ,  
რადგანაც ამის შეტყობინება საჭირო იყო, ამიტომ  
ეს „ფირმანი“ მოგწერეთ, ჩვენ ბრძანებას არ გადა-  
ხვიდე და შენი მდგომარეობა იცნა. ამას გაუცხა-  
დებთ მის სიმაღლეს, საქართველოს მეფე ერეკლეს  
1795 წ.

ფირმანი ქართულად ნათარგმია იმავე დროს,  
ანუ 1795 წ. ფირმანი მოწმობს ცხადად და აუწყებს  
მეფე ერეკლეს, რომ რუსებთან შეერთება დახსნას,  
ისიც უნდა ითქვას, რომ ხანდისხან ქართველი  
სპარსთ-ოსმალთა წინადადებას ყურადღებას აქცევ-  
დნენ და რუსებთანაც სწყვეტდნენ კავშირს და ამით  
იმედოვნებდნენ ქვეყნის დამშვიდებას.

მაგრამ რუსნი მაინც არ სტოვებდნენ ქართვე-  
ლებს და საქართველოს თავს არ ანებებდნენ, არა  
სცილდებოდნენ, თავს არ ანებებდნენ და მით ქარ-  
თველ ერსაც არ აძლევდნენ მოსვენებას. რუსნი ქარ-  
თველებს არამც თუ სცილობდნენ, არამედ სცი-  
ლობდნენ ყოველთვის და ქართველებს ისეთ ხრიკები  
ახვევდნენ თავზე, რითაც რუსნი დიდის იმედებით

ფიქრობდნენ საქართველოს ხელში ჩაგდებას და ბოლოს ერთ მეტჯულე ქართველების გადაგვარება გარუსებასაც. ამ ეშმაკობის მისაღწევად და საქართველოს სამეფოს ხელში ჩასაგდებათ, ხელს უწყობდა დიდათ ის გარემოება, რომ რუსთა და ქართველთა სჯული ქრისტიანული იყო და მეორე ქართველები კიდევ ამ ქრისტიანობის სჯულის დიდი პატივისცემის მცემლები იყვნენ და რუსნიც რასაკვირველია ამით სარგებლობდნენ. სულ ეს ქრისტიანობა და ამ სჯულის ერთობის საქმე იყო საგნათ გამხდარი, რომ რუსნი აუცილებლივ ითხოვდნენ საქართველოს შეერთებას, იგინი ამ ბოროტებისათვის აღარაფერს ზოგადდნენ, ყველაფერს ლონისძიებას ხმარობდნენ.

ეს ლონისძიება როგორი იქნებოდა ქართველი ერისა და საქართველოსთვის, დასალუპი, თუ სრულად მოსასპობი, გამანადგურებელი და სხვაც ასეთნი. ამასთან რუსებს საქმე არ ჰქონდათ, ოღონდ მათ კი მიეღწიათ თავიანთ საწადელს და საქართველო ხელში ჩაეგდოთ. ამ ბოროტების ცხადი საბუთია ის გარემოება, რომ 1795 წ. საქართველოს ერის მტერს, აღა მაჰმადხანს, ტფილისის აკლების დროს, დიდალი რუსის იარაღი აღმოაჩნდა, რაც რუსებს მისთვის საიღუმლოთ მიეცათ დახმარებათ, რომ მტერი მოსულიყო და უფრო მაგრა აეკლო საქართველო.

ამავე ბოროტების ცხადი საბუთი გახლავსთ და მაგალით შემდეგი გარემოება, რომ რაკი 1795 წ.

საქართველოს ოხრების შემდეგ საქართველო რუსებს არ ჩაუვარდათ ხელში. მეფე ერეკლემ რუსეთს თავი არ დაუკრა საქართველოს შეერთებისათვის, რაკი ამ შეერთებას ეყატერინე ველარ მოესწრო და გარდაიცვალა, ამის ნატვრას ვერც პავლე ელიოსებოდა ადვილათ და მალე. ამიტომ რუსეთის მელი გენერლებმაც თვის მოქმედებას უფრო მკაცრი ბოროტი გზა მისცეს, რომ ეგები მის საშუალებით საქართველო უფრო მალე ჩავარდნოდა პავლე იმპერატორს.

მართალია აღა მაჰმადხანმა 1795 წ. საქართველო სასტიკათ დაამხო, მაგრამ ვერც ისე, როგორც ეს რუსებს სურდათ და ენატრებოდათ. ეს გარემოება ცხადია იმითაც, რომ თფილისის აოხრების შემდეგ, ყეინი საქართველოს საზღვრებში სულ 12 დღეს დარჩა, მეტი არა, მის შემდეგ დევნილი ინბარგა და სპარსეთისაკენ გაეშურა. მართალია მათ ქართველები დაამხეს, მაგრამ არც თვითონ დაადგათ კარგი დღე, თვითონაც დაემხნენ.

ქართველებმა როგორც იქმნა მტერი განდევნეს საქართველოდან და მალე მიეცნენ მოშენების და ცხოვრების მოწესრიგებას, ტფილისმაც იწყო მოშენება და გამაგრება. მთელი ქართველობა მიეცა ამის ზრუნვას, დამიტომ რუსების ნატვრაც არ შესრულდა, მეფე ერეკლემ პავლე იმპერატორს არ მიმართა ისეთის. სათხოვრით, საქართველოს შეერთების შესახებ,

როგორის იმედიც ჰქონდა ეკატერინეს მის გენერლებს და ნამეტურ პატიომკინს, ზუბოვს, ლუდოვიჩს და ამათგან ერთათ ახლად გამეფებულ პავლე იმპერატორსაც. რუსეთის გენერლებმა მალე შეიტყვეს გარსევან ჭავჭავაძისაგან რომ მეფე ერეკლე არ აპირებს რუსეთთან კავშირს და შეერთებასო, ამიტომაც პავლე იმპერატორის მგელმა გენერალმა ახლა სხვა, მაგრამ ახალ ბოროტ გას დაადგნენ საქართველოს დასაღუპათ.

1795 წ. რომ სპარსეთის ყეინმა საქართველო მძლავრათ რომ ვერ დაამხო და ამ აოხრებაში მეფე ერეკლე ვერ დაამუხლა რუსეთის ხელმწიფის კარის წინა, ამ გარემოებამ რუსეთის იმპერატრიცა დიდათ დაალონა და შეაფიქრიანა. ამ სვავის დარღს შალე აღმოუჩნდა უებარი წამალი ამ უებარ წამლის გამკეთებელი პეტერბურგში გახლდათ, გადაბირებული და საქართველოს მოღალატე გარსევან ჭავჭავაძე, ამისი ამხანავები და არაჯ-ნორთი სომეხთა, ანუ რუსეთში მყოფი ეპისკოპოსი იოსებ არლუთინსკი, საქართველოს სამეფოს დაუძინებელი მტერი...

გარს. ჭავჭავაძემ აცნობა ეკატერინეს, რომ რაკი არ იქმნა და ერეკლემ არ ქმნა და შეერთებისათვის მოციქულები არ გამოგზავნა ოქვენს წინაშე, ახლა კარგი დრო არის, რომ იმავ ყეინისაგან მეორეთ იქმნეს აკლებული და ამის შემდეგ კი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველო ველარ იარსე-

ბებს, მეფე ერეკლე უსათუოთ თქვენ მოგმართავსთ  
და იმის მაგალითით იმერთა მეფე სოლომონიც თავს  
დაგიკრავსთ, საქმე მარტო მეფე ერეკლე გახლავთო.

ამ იუდას თურმე სასტიკათ აქეზებდა სომეხთა  
ეპისკოპი ა. იოსებ არლუთინსკი. ეს არლუთინსკი და  
სომეხი სერგეი ლაშქაროვი იყვნენ საქართველოს სა-  
მეფოს მომთხრელნი, ამათ რუსული ენა იცოდნენ და  
სრქართველოს სამეფო მინისტერმა კი რუსული არ  
იცოდა, ამიტომაც ტყუვდებოდა ყველაფერში გარს.  
შავჭავაძე, რუსეთის ქრთამებიც ხომ სასტიკათ აბრ-  
მავებდა მას.

ამათს ბოროტებას გიორგი მეფის შვილნი და-  
ვითი და ბაგრატი შეჩვენებით ანუსხავენ. განსაკუთ-  
რებით სწყევლიან მათ და უფრო კი სომეხთა ეპის-  
კოპოზ იოსებს, რომელიც იმ დროს რუსეთში სცხო-  
ვრობდა, და ეს მოხერხებული ბოროტი მტერი სა-  
ქართველოს სამეფოს დასალუპავათ მოქმედებდა; ამათ-  
თან სხვებიც იყვნენ თურმე. ამას აღნიშნავს როგორც  
ივანე ხელაშვილი, ისევე ალექსანდრე ორბელიანი.  
საყურადღებოა აქ ისიც, რომ იმ დროს, პეტერბურგ-  
ში თურმე ერთობ დიდი წრე არსებობდა ისეთი,  
რომელნიც საქართველოს სამეფოს დასალუპავად მო-  
ქმედებდენ და რომელთაც სათავეში ედგა გარსევან  
შავჭავაძე და იოსებ ეპისკოპოსი.

სულ ამათი რჩევა იყო, რომ ეკატერინემ 1794  
წ. ერთი მილიონი ვერცხლის მანათიანი მოაჭრევინა

და ეს ფული მან სპარსეთის ყეინს გაუგზავნა ჩუმათ,  
დახმარებათ. ამ მოჭრილის მანეთიანების ერთი ცა-  
ლი პოეტ აკაკისაც ჰქონდა, რომელიც მას ზურაბ  
წერეთლის ოჯახის შემკვიდრეებისაგან ეშოვნა. სა-  
ყურადღებოა აქ კიდევ ის გარემოება, რომ როგორც  
ეს პირები პეტერბურგში მოქმედებდენ, ამათსავე  
მსგავსათ თურმე მოქმედებდა და საქართველოს სამე-  
ფოს სამარეს უთხრიდა გენერალი ლუდოვიჩი-გიორ-  
გევსკიდამ.

ლუდოვიჩმა პატიომკინის გველობით საქართვე-  
ლოს სამეფო საქმეები და ქართველ ერის ცხოვრე-  
ბის პირობები კარგათ შეიტყო. ამან უფრო ოსტა-  
ტურათ დაიწყო მოქმედება და აშტრახნელ სომხის  
ვაჭრების დახმარებით, რომელთაც რუსული ენა კარ-  
გათ იცოდნენ, მიმართა სპარსეთის ყეინს და დაუწ-  
ყო ამხედრება ერეკლე მეტის წინააღმდეგ. ცნობა  
არის დარჩენილი და ამას ბაგრატ ბატონიშვილიც  
ასაბუთებს, რომ ეკატერინესაგან მოჭრილ ვერცხლის  
მანეთებს ლუდოვიჩი აშტრახნელ სომხებზედაც ხარ-  
ჯავდა თურმე, მოსაქრთამავათ.

ლუდოვიჩმა აღა-მაჰმად-ხანს ასეთი ჭორები აც-  
ნობა: ერეკლე მეფე თქვენს სამტროთ აქამდის რუ-  
სეთის კარს აწუხებდა, ახლა ოსმალებსაც მიმართა და  
მათის დახმარებით თქვენს წინააღმდეგ მოქმედებას  
აპირებს, ახლა რომ დაეცეთ ერეკლე მეფეს, ადვი-  
ლათ აჯობებთ და, მასთან ასწავლით ჭკუას, რომ

თავის ქერქში ჩაეტიოს და სხვებსაც აღარ აწუხებდეს. გაგაგებინებთ იმასაც, რომ თქვენი მტერი არც რუსეთია და არც ოსმალეთი, თქვენი მტერი ერეკლე მეფეა, რომელიც თქვენ გამტერებთ რუსეთსა და ოსმალეთსაც; მოსპერ ეს მტერი და მაშინ თქვენთანაც მოისპობა ამათი მტრობაცაო.

ბაგრატ ბატონიშვილი მოწმობით, ასეთ დარიგებას რუსეთის ღენერალი, ანუ კავკასიის რუსების ჯარის უფროსი მთავარ მართებელი წერილებით კი არა ჰეზავნიდა, ასეთ ცნობების შესათვლელათ ჰყვანდა დაჭირავებული ასტრახანის სომხის მოწინავა ვაჭრები, რომელთაც რუსული და სპარსული ენაც კარგათ იცოდნენ.

ესენი დავალებას ასრულებდნენ და თავის მხრივაც რასმე უმატებდნენ.

ამათისავე მოწმობით, ისი არის საყურადღებო; რომ თვით ესევე ვაჭრები საიდუმლოთ უზიდავდენ აღა-მაჰმად ხანს სხვა და სხვა იარაღებს, რასაკვირველია, მალულათ და ისე მოწყობილ ყუთებით, რომ თვითქოს სავაჭრო სხვა და ხევა რუსული საქონელი ყოფილიყოს და არა სამხედრო იარაღი.

აშტრახნელ სომხებმა დიდის და ტკბილის სპარსულის ენით მოხიბლეს აღა-მაჰმად-ხანი, ხოლო ამ მტერმაც მისცა პასუხი თურმე ღუღლოვის: თქვენი მეშინიან, რადგანაც, 1783 წ. რუს-ქართველთა პირობის ძალით, თქვენ ვალდებული ხართ, გაჭირების

დროს საქართველოს დაეხმაროთო, თუ ეს არ იქნება, მე მაშინ ერეკლე მეფეს ჭიუას ვასწავლიო.

მოხდა ისიც, რომ მტერმა მტერს აუწყა ფიცით: თქვენ წადით, საქართველო მოსპეთ, აიკლეთ, ჩვენი შიში ნუ გაქვსთ, ჩვენ ერეკლე მეფეს შველის პირობას მიგსცემთ, მაგრამ მოვატყუებთ, თქვენი მისვლის დროს, ჩვენ მას არ ვუშველითო. ნიშნაო ამისა ჩვენ გიგზავნით დახმარებასაც ვერცხლის ფულით, რასაც ეს აშტრახანის ჩვენი და თქვენი მოყვარე სომხები გაღმოგვცემენ და მასთან სამხედრო იარაღსაც, სამხედრო იარაღს კიდევ მოგაწოდებთ, თუ კი ეს თქვენთვის საჭირო იქმნება. ასეთის ამბებით და დაიმედებით დესპოტი ალა-მაჰმად-ხანი წაჭეზებულ იქმნა.

ბევრის ფიქრის შემდეგ, მტერმა გადასწყვიტა საქართველოზედ გამოლაშქრება. 1795 წ. თუ მას ჰყვანდა 300 ათასი კაცი, ახლა გადასწყვიტა 600 ათასი ჯარის შეკრება და ამოდენა ჯარით დასცემოდა საქართველოს.

ყეინის სამზადისის ამბები ერეკლე მეფემაც მალე შეიტყო. დიდათ დაღონდა, ამანაც სამზადისი დაიწყო, მაგრამ მაინც დიდი შიში აქვნდა, რაღანაც ისიც შეიტყო, რომ მტერი 600 ათასი კაცით აპირებს დაცემასო. მეფე ერეკლე ძალზე დაღონდა. მიმართა იმერთ მეფე სოლომონს და სოხოვა თფილისში ჩამოსულიყო.

სოლომონ მეფე მალე ეწვია თფილისში მეფე ერეკლეს, ერეკლემ შესჩივლა თავისი დარდები. სოლომონ მეფემ აღუთქვა, ჩემის ჯარით დაგეხმარებიო. — მარტო თქვენი ჯარი რას მიზამს რიცხვმრავალ მტრის წინააღმდეგო, — უთხრა ერეკლემ.

მაშინ სოლომონ მეფემ ურჩია: ეკატერინე ცოცხალი აღარ არის, პავლე იმპერატორის მორიდება ნულარ გეჭმნება, როგორც ეკატერინესი. გარდა ამისა, პავლე მფარველია ყველა ქრისტიანებისა, ნამეტურ საქართველოსი, მიმართეთ მას და დახმარება სთხოვე, უეჭველად დაგეხმარება, ჯერეთ, თქვენ მიმართეთ, მერე მეც მივმართავ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვაჭირვების დროს გვიშველისო.

დაღონებულმა მეფე ერეკლემ შეისმინა სოლომონ მეფის რჩევა და მართლაც განიძრახა პავლე იმპერატორისთვის მიემართნა და დახმარება ეთხოვნა. გაგზავნა კაცები თავის მანდატურთ უხუცეს (მინისტერი) გარსევან ჭავჭავაძესთან და დიდის გულმოდგინებით შეუთვალა და დაავალა: პავლე იმპერატორთან მიშუამდგომლე, აღა-მაჰმად-ხანი მეორეთ მოდის ჩემი ქვეყნის ასაკლებათ, ეგები ჯარით დამეხმაროს, რომ მტერმა სულ არ ამიკლოსო.

**გარსევან ჭავჭავაძემ როგორ მოისაჭმიანა პავლე იმპერატორთან,** ამის ცნობა არა ვაჭვს, ხოლო მეფე ერეკლეს მალე ეუწყა, რომ პავლე იძერატორმა შეისმინა თქვენი ვედრება და გატყობინებთ,

რომ მალე თქვენს ქვევანაში ჩამოვა რუსის ჯარი, რომელიც გაჭირვების დროს დახმარებას გავიწევს-თო. ამ ცნობის შემდეგ კიდევ მოუვიდა მეფე ერეკლეს პირადი ცნობა, რასაც გარს. ჭავჭავაძე ატყობინებდა, რომ თქვენს დასახმარათ რუსეთიდამ ერთი გენერალი წამოვა თავის ჯარით და მეორე ბრძანება გიორგიევსკში ღენერალ ლუდოვიჩს მოუვა, იგიც დაგეხმაროთ გაჭირვების დროს ბრძოლაშიო.

ასეთმა ამბებმა მეფე ერეკლე დიდათ გაახარა. ახლა კი მტერი ველარ მავნებს და როგორც მოვა აქ, ისევე წაბძანდება დამარცხებულიო, ამიტომაც დაიმედებული მეფე ერეკლე დღე და ღამ გაჰყურებდა რუსეთის გზას და მოუთმენლად ელოდდა რუსის ჯარს. მაგრამ დღენი მიღიოდნენ, რუსის ჯარი კი არსადა სჩანდა. ნელნელა იმის ცნობაც მოღიოდა, რომ აღა-მაჰმად-ხანმა თავის დიდით ჯარით უკვე სპარსეთი გადმოიარა და ჭავჭასიაში შემოვიდაო. მეფე ერეკლეს ეს ამბები დიდათ აღონებდა. ამის დალონების წამალი რუსეთის ჯარის მოლოდინი იყო, მაგრამ ჯარი კი არსად სჩანდა. ამ მოლოდინში ის ცნობაც მოვიდა, რომ ყეინმა უკვე შუშას მოაღწიაო. ამ ამბავმა მეფე ერეკლე უფრო დააღონა და დააღარდიანა. ისევ რუსების იმედით სულდგმულობდა. პავლე იმპერატორის ბრძანებით რუსეთიდავ თურმე გენერალი ბულგაკოვი გამოეგზავნათ და თან ჯარი გამოეყოლებინათ. ეს ამბავი დალის-

ტბის ერთ-ერთ შამხალს ყეინისათვის ეცნობებინა, — რუსეთიდამ ჯარი მოდის მეფე ერეკლეს მოსაზე-ლებლათო. ამ ამბავმა აღა-მაჰმად-ხანი ძრიელ გააბ-რაზა. ღუდოვიჩს ფიცხლად კაცები გაუგზავნა და სა-ყველური შეუთვალა: თქვენ სიტყვა მომეცით, ჩვენ მეფე ერეკლეს არ უშველითო, ის კი არა და დღეს თქვენი ჯარი მოდის მის დასახმარებლათ, ეს რას ჰგავსო?!

ღუდოვიჩმა უპასუხა: თქვენ წადით, როგორც მიღიხართ და ჩვენი შიში ნუ გაქვსთ, ჩვენ მართა-ლია, შველის პირობა მივეცით, მაგრამ შველით კი არ უშველოთ, მოვატყუილებთო. ამ ამბავმა აღა-მაჰ-მად-ხანი დიდათ გაახარა.

მოკლე ხანში ყეინმა ქ. შუშას შალწია, აიღო ის ქალაქი, ამ ქალაქის ხანი გააძევა და მის სახლში თვით დაბინავდა. აქ შეუდგა გეგმის შედგენას, თუ როგორ უნდა დაემხო საუართველოს სამეფო და როგორ ესრისა ქართველი ერი, ამის აქ ყოფნის დროს, მართლაც, რუსეთიდამ მომავალი რუსის ჯა-რი გამოსჩნდა, ამ ჯარს თან მოსდევდა გენერალი ბულგაკოვი. მალე კავკასიის მთებზედ შემოდგა ფე-ხი და თერგის ხეობას მოალწია. აქ მას ღუდოვიჩი დახვდა.

ამათ ლაპარაკი მოუხდათ და ღუდოვიჩმა გენე-რალ ბულგაკოვს უთხრა: ჩვენის ხელმწიფის ეკატე-რინეს ნებართვით მე აღა-მაჰმად-ხანს პირობა მივეცი,

ჩვენ ამ ომში არ გავერიოთ; პავლე იმპერატორი  
ახალგაზრდა კაცია, და ამიტომ შენ უკან გაბრუნდი  
შენის ჯარით, მეფე ერეკლეს შველა ჩვენი საქმე არ  
არის. ბულგაკოვი უკან გაბრუნდა, მაგრამ თავის  
იმპერატორის ეშინოდა.

ამ დროს, კასპის ზღვის ნაპირებზედ იმყოფე-  
ბოდა გენ ვალ. ზუბოვი თავის ჯარით; ამ ჯარით  
მან დაიპყრა ყუბა, შემახა და სხვა აღგილები; ზუ-  
ბოვი უნდა შესულიყო დალისტანში და ჯერეთ ეს  
უნდა აეღო და მერე ბაქო. გენერალი ბულგაკოვი  
ზუბოვის ჯართან მივიდა და მისი იქ მისვლის ამბავი  
გრაფ ზუბოვსაც აუწყა. ზუბოვს მოეწონა ამ საქმის  
ასეთი ცვლილება, ბულგაკოვს დაუმადლა და მასთან  
ბულგაკოვს დაავალა დაღესტანში შესვლა და გალა-  
შქრება.

მოკლე დროის განმავლობაში საქართველოს სა-  
მეფოს ბედი კიდევ სხვანაირად შეიცვალა. პეტერ-  
ბურგში რა მოხდა საქართველოს სამეფოს და ერის  
დასალუპავათ ან ვინ რას ჰმოქმედებდა, ამის ცნობა  
ჩვენ არა გვაქვს მხოლოდ ლუკა ისარლოვის მოწ-  
მობით ან რა მომხდარა.

პავლე იმპერატორის გამეფების ცოტა ხნის შემ-  
დეგ, გრაფ ზუბოვს უცბათ შიკრიკი მოუვიდა, გრა-  
ფი ვინგშტეინი, და თან მოუტანა ასეთი ბრძანება  
და ცნობა: ეკატერინე იმპერატრიცა გარდაიცვალა,  
მის მაგიერ გამეფდა პავლე პეტრეს-ძე, ამიტომ გაუ-

წყებთ თქვენ, რომ კავკასიის თემზედ და კისის ზღვის ნაპირებზედ ბრძოლა შესწყვიტოთ და რუსეთის ჯარი სულ რუსეთში დააბრუნოთ დროითო.

გრაფ ზუბოვმა შეასრულა ბრძანება, დაპყრობილი ადგილები დასტოვა. მალე ბულგაკოვის მგზავრობაც შეაჩერეს დალისტანში და ზუბოვი და ბულგაკოვიც რუსეთის გზას გაუდგნენ.

ზუბოვი აღა-მაჰმად-ხანს არას ერჩოდა, მარამ ყეინს მაინც გულში ცეცხლი ენთო და ზუბოვის ბრძოლას სხვა და სხვა ხანებთან იგი სულ ვერ იტანდა, ყველა ამის მიზეზებს სულ მეფე ერეკლეს აბრალებდა, ყველაფერი ეს სულ მეფე ერეკლეს წყალობით ხდებაო. მეფე ერეკლემ კი ამ ვერაგობის საჭმე სულ არ იცოდა.

რუსეთში ზუბოვისა და ბულგაკოვის გამგზავრების ამბავი შუშაში ყეინსაც აცნობეს. ამ ამბავმა ყეინი დიდათ გაახარა. ყეინმა მალე ღუდოვიჩს მაღლობა შეუთვალა და თან ფეშქაშიც მიართვა დიდის მაღლობის ნიშნათ. ცნობა არის, რომ ეს ამბავი მეფე ერეკლემაც შეიტყო, რუსეთში ზუბოვის წასვლამ არ შეაშინა, რადგანაც ზუბოვი მას არ უშველიდა; გენერალი ბულგაკოვის შემოსვლა კავკასიაში, მერე უკან გაბრუნება, ბოლოს ზუბოვთან შეერთება და ბოლოს უკანვე გაბრუნება კი არ იცოდა და მას არც ელოდა.

არ ელოდა, რადგანაც მიზეზი ამისა აი რა იყო.

მეფე ერეკლე ქრისტიან ხელმწიფებს ისე უცქეროდა, როგორც სახარებას, და ამიტომ სულ არ ფიქრობდა, რომ ქრისტიანი მეფე და ისიც რუსეთის, პავლე იმპერატორი, მომატყუილებსო.

ამიტომ იყო, რომ ბედშავს მეფეს ატყუილებდნენ. აღმოსავლეთის ერთა მეფეების პოლიტიკას იგი კარგედ იცნობდა, ამიტომაც იგი აღმოსავლეთის მეფეთაგან ადვილად ვერ ტყუვდებოდა, ქრისტიან სამეფოთა მეფეების პოლიტიკას იგი სულ ვერ იცნობდა, ნამეტურ რუსეთის იმპერატორების ხომ ამას ყველაფერი სჯეროდა და ყველაზედ მეტათ კი უსენი ატყუილებდნენ და სამარეს უთხრიდნენ როგორც მეფე ერეკლეს, ისევე საქართველოს სამეფოს და ერს.

ამ დღის განმირვების დროს მოატყუეს რუსებმა მეფე ერეკლე და მოატყუილეს ისე, რომ ამითი საქართველო უნდა განწირულიყო.

საქართველო დასაღუპათ გაიმეტეს და განწირეს პავლე იმპერატორმა, გრაფ ზუბოვმა, ლუდოვიჩმა, ბულგაკოვმა და სხვებმა, მაგრამ ამავ დროს საქართველო არ გასწირა ღმერთმა, ვანგებამ, თავისმა სიმართლემ, და ამ დროსაც საქართველო ვაღურჩა თავის მძლავრს მტერს, თავისავე შვილის, ქართველი კაცის მკლავის ძალით.

ისტორიკოს პლატ. იოსელიანის მოწმობით ალა-მაჰმად-ხანს ჰყვანდა ორი მსახური, ერთი იყო ქართველი, მეორე ლეკი. ქართველს სახელიად საღი-

ხა ერქვა, წინეთ კი ამას ანდრია რქმევია. ეს ანდრია მცხეთელი ყოფილა, პატარაობის დროს სპარსებს ტყვეთ წევყვანათ სპარსეთში, გაუთათრებიათ და სახელად სადიხა უწოდებიათ.

ეს სადიხა, თუ ანდრია, მეტად მახვილგონიერი ყოფილა. თავის გონიერების წყალობით, უკანასკნელი აღა-მაჰმად-ხანის მსახურათ გამხდარა. ვალდებულებად ჰქონია ყეინის ხელზედ მსახურება, მიტანა პირის საბან წყლისა, ჩაისა, ყალიონის და ნამაზის დროს წყლისა და ნამაზისთვის ჭურჭლის მოტანაც, ლეკსაც ჰქონია მინდობილი სხვა თანამდებობა ყეინის წინაშე.

შემთხვევით ლეკმა თურმე რაღაც დანაშაული ჩაიღინა ყეინის წინაშე, ამიტომაც ყეინს სიკვდილით დასჯა მიუსჯია, ამ სასჯელის განცხადების დროს. სადიხანსაც უბრალო რამ დაუშავებია ყეინის წინაშე. ნამაზისთვის წყალი და ტაშტი მიუტანია თურმე, ამის შემდეგ ყეინი ნამაზს შვრეშოდა, ლოცულობდა, სადიხამ ჭურჭელს და ტაშტს ალაგება დაუწყო, ამ დროს ტაშტი ხელიდან გაუფარდა, წყალი დაიღვარა და ყეინს ლოცვის დროს დაჩოქილს, მუხლების ჭვეშ შეუდგა წყალი.

ყეინმა ლოცვა შეასრულა, სადიხას ხმა არ გასცა, რადგანაც ლოცვის დროს ხმის ამოღება მათში არ შეიძლება. ლოცვის შემდეგ თავის მოჭრა მიესაჯა მასაც. ეს დღე იყო ხუთშაბათი და ამათთვის

თავი უნდა მოექრათ შაბათს. ამ სასჯელმა ეს ორი  
ამხანაგი მტკიცეთ შეაერთა, ამათ ითათბირეს და ბო-  
ლოს დადვეს პირობა, ვინემ ამ ბოროტ ყეინის წყა-  
ლობით ჩვენ დავიხოცნეთ, ამაღამ ჩვენ მოვკლათ  
იგიო. დადეს ფიცი. ამ დღესვე მათ იშოვნეს კარგი  
ხმალ-ხანჯალი, შუა ლამისას, როცა ყეინს ეძინა,  
შეიპარნენ მის სადგომ ოთახში, საღიხამ იშიშვლა  
მჭრელი ხანჯალი და ერთის დაკვრით თავი ტანს  
მოაცილა ისე, რომ ყეინმა ხმის ამოლებაც ველარ  
მოასწრო.

ამის შემდეგ ეს საღიხა და ლეკი იქიდამ გამო-  
იპარნენ და საქართველოში წამოვიდნენ. ჯერეთ ნუ-  
ხაში მისულან და ნუხის ხანისთვის მიუტანიათ ამბა-  
ვი, ყეინი მოვკალითო. ეს ხანი მტერი ყოფილა ყეი-  
ნის და ამიტომ ამათთვის ფული უჩუქებია. ლეკი  
იქ დარჩენილა და საღიხა კი ტფილისში წამოსულა  
მეფე ერეკლეს ეახლა თურმე და გადასცა ამბავი,  
რომ ჩვენ თქვენი მტერი ყეინი მოვკალით და ეხლა  
თქვენ მისი ომის შიში და ფიქრი ნულარ გაქვსთ,  
იგი აქ ველარ მოვაო.

მეფე ერეკლეამ ამბავმა დიდათ გაახარა, ღმერთს  
მაღლობა შესწირა და რუსეთისაკენაც ყურებას თა-  
ვი დაანება. რუსეთიდამ მაინც არავინ გამოჩნდა.

მეფე ერეკლემ საღიხას კი საჩუქრები უბობა და  
მასთან ულუფაც დაუნიშნა. მერე ეს ანდრია ბერად  
იქმნა აღკვეცილი, რაღგანაც იგი თურმე დაკოდი-

ლიც ყოფილა ყეინისაგან. ასეთის სასწაულებრივის გარემოების წყალობით გადარჩა საქართველო აռხ-რებას მეორეთ 1797 წ. მცხეთელი ანდრია გარდაი-ცვალა 1810 წ. ქ. თფილისში.

ამ გარემოების შესახებ ლუკა ისარლოვი ასე გადმოგვცემს აღა-მაჰმად-ხანის ორს მსახურს ერთმანერთში ჩხუბი მოუვიდათ, ამათი ჩხუბის ამბავი აღა-მაჰმად-ხანმა გაიგო. ეჯავრა მათი ყვირილი და ამიტომ ორივეს თავის მოჭრა მიუსაჯა. ამათ შესახებ სადიხ ხანმა ჩაკავჩიმ ყეინს პატიება სთხოვა, მაგრამ ყეინმა არ შეისმინაო. იმავ დღეს ეს წაჩხუბებულნი მსახურნი შეერთდნენ და იმ ღამესვე მოჰკლეს აღა-მაჰმად-ხანიო.

არის ასეთი გადმოცემაც: აღა-მაჰმად-ხანს ჰყანდა ორი მსახური, ერთის საქმე იყო ასეთი სამსახური: სამთელი უნდა აენთო ოთახში, სადაც ყეინს ეძინა, ერთი სამთელი რომ გაქრებოდა, მას მეორე უნდა აენთო. ერთხელ თურმე სამთელი ჩაქრა და ამ მსახურს დაავიწყდა ახალ სამთლის ანთება. ამ დროს ყეინს გაეღვიძა და მსახურს ყვირილი დაუწყო. მსახურმა ცახცახით სამთელი მიიტანა და აანთო.

ყეინი ამაზედ ისე გაბრაზდა, რომ მსახურს თავის მოჭრა მიუსაჯა. მეორე დღეს, ყეინი როცა ლოცვაზედ დაჩაქილი იყო, მეორე მსახურს უნდა აელაგებინა ნამაზის წყლის ჭურჭელი და ტაშტი. აღა-გების დროს, მსახურს ტაშტი ხელიდან გაუვარდა

და წყალი დაეღვარო. წყალი ყეინს მუხლებ ქვეშ  
შეუდგა, მაგრამ ხმა არ ამოილო, რადგან ლოცვის  
დროს არ შეიძლებოდა ხმის ამოღება, ლოცვის გა-  
თავების შემდეგ დიდათ გაბრაზდა და ამ მსახურსაც  
თავის მოჭრა მიუსაჯა.

ამ სასჯელმა ეს ორი მსახური ერთად შეაერთა,  
ესენი შეითქვნენ და გადაწყვიტეს ყეინის მოკვლა  
და იმ ლამესვე მოკლეს კიდევაც. ისარლოვი სწერს,  
რომ ამ ორის მსახურის სიკვდილით დასჯის პატივ-  
ბისათვის ყეინთან შევიდა საღიხა ხანი ჩაკაკჩი და  
პატივბა სთხოვა, მაგრამ ყეინმა არ შეისმინაო. ლუ-  
კა ისარლოვი ამ საღიყის ვინაობის შესახებ არასფერს  
ამბობს, ვინ იყო იგი და რა ტომის.

ამიტომ ამის გადაოცემას ჩვენ მნიშვნელობას  
არ ვაძლევთ და საღიხას გამო ჩვენ უფრო ვეყრდნო-  
ბით 3. ოჯახის მიერ გადმოცემულ ცნობებს.

## ამ წიგნის პერიოდი

ამ წერილის მასალები მოთავსებული იყო ერთ  
ქველს ქართულ ხელთნაწერ წიგნში, რომელ წიგნიც  
დაწერილია 1808 წელს და მერე ამ წიგნიდან გაღუ-  
წერია ალექსანდრე ორბელიანს 1830 წლებში,

ეს ხელთნაწერი შესდგებოდა 30 წერილისაგან,  
რიგი მე უნდა დამებეჭდა 1878 წ. მაგრამ იმ დროის  
ცენზორებმა არ მომცეს იმის დაბეჭდვის ნება და  
ხელთნაწერიც წამართვეს. რუსების შემოსვლის შემ-  
დეგ ქართული მწერლობა მკვდარია, 1801—1830  
წ. ქართული მწერლობის ასპარეზზედ მწერლობის  
აღარასფერი კეთდებოდა, იმ დროის ქართულ მწერ-  
ლებათ სჩანან შემდეგი პირნი:

ივანე ხელაშვილი, რომელმაც 1820 წლებს  
დასწერა „კალმასობა“.

ფილადელფოს კიკნაძე, რომელმაც 1818 წ. და-  
წერა პოემა „აღსდეგო გმირთ გმირნო, ნუ გძინავთ“  
და სხვანიც.

ალექსანდრე ქაგჟავაძე, ცნობილი პოეტი  
სოლომონ დოდაშვილი, ცნობილი პირი და ორი-  
ოდეც სხვანი, მაგრამ არც ერთის ამ პირის ნაწერი  
არ იყო ეს ხელთნაწერი.

ამ პირთა მომდევრათ ითვლება ალექსანდრე

ორბელიანი, ამიტომ ეს ხელთნაწერიც ამის დაწე  
რილი იყო, უკეთუ გაღაწერილი. ამ ხელთნაწერი  
კითხვა მე დიდათ მიყვარდა, რადგანაც იგი სულ  
საქართველოს შეეხებოდა და ნამეტურ იმ გარემოე  
ბას თუ რუსეთის მთავრობა როგორ მტრობდა სა  
ქართველოს ერს და მეფეებს. ნამეტურ საყურადღე-  
ბო იყო ამ წიგნის ის ცნობები, სადაც ანუსხული  
იყო ის გარემოებანი, თუ რუსის მთავრობა და რო-  
მანოვის გვარის წევრნი, საქართველოს წინააღმდეგ  
როგორ რაზმავდენ ასმალ სპარსელებს.

რადგანაც ეს ძვირფასი ხელთნაწერი 1878 წ.  
დავკარგე, ამიტომ ეს წერილი ეხლა აღვადგინე ხსე-  
ნებული წიგნის ცნობების მოგონებით, რასაკვირვე-  
ლია შემოკლებით.

ზ. ჭ.